662-2016-2

ხელშეკრულებაN68
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი „ 01 " დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი), მისი სამხატვრო ხელმძღვანელის – ვახტანგ კახიძის სახით და მეორეს მხრივ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქეთევან ქოქრაშვილი (შემდგომში – შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესყიდვა (CPV-79633000), ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ - კულტურული ცენტრის ტექნიკური პერსონალი (სამი თანამშრომელი) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაიარონ სასწავლო ლექციებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაკოლობისა და გაზის მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 541 (ხუთასორმოცდაერთი) ლარს და 60 თეთრს.

2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ფასი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, ფაქტიურად შესრულებული მომსახურების შესაბამისად.

2.4. ხელშეკრულების ფასი შეიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების შესრულებასთან.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ განხორციელებული მომსახურების ხარისხი შეესაბამება ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ - კულტურული ცენტრის ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ლექციების ჩატარება თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრაზე, კოსტავას ქ. №77.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე.

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

დ) სწავლების დამთავრების შემდეგ გასცეს დადგენილი ფორმის სერთიფიკატი.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წერილობითი ფორმით აცნობოს მიმწოდებელს კანდიდატის (კანდიდატების) შეცვლის ან არ გამოცხადების შესახებ სასწავლო პროცესების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

ბ) უზრუნველყოს კანდიდატების სწავლების პროცესების განმავლობაში სრული დასწრება.

გ) უზრუნველყოს განხორციელებული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება.

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. მომსახურების შესრულებას უზრუნველყოფს შემსრულებელი.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს – ნოდარ მაისურაძეს.

5.3. მომსახურების მიწოდების ვადა არის 2016 წლის 18 დეკემბერი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშაოს შესრულება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ეძლევა მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელს – ვახტანგ კახიძეს.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან არაუმეტეს – 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. შემსყიდველი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 20 იანვარი.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს – ნოდარ მაისურაძე, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის მთავარი ინჟინერი.

14.3. შემსრულებელი პასუხს აგებს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი სასწავლო კურსების მიმდინარეობისას და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება შემსრულებელი ვალდებულია, ან გამოასწოროს წუნდებული მომსახურება ან დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

14.4. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

151 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის №123-125.	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77
სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში	სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში: სახაზინო კოდი 708977259
ს/კოდი: 202055319	საიდენტიფიკაციო კოდი: 211 349 192
----------	----------
ვახტანგ კახიძე	ქეთევან ქოქრაშვილი
სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი